საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №204/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 5 დეკემბრის №204 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 19 თებერვლის №204/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მსჯავრდებულ -- -- მიმართ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების კანონიერებას.

1.2. მოსამართლე მხარეებთან შეთანხმების გარეშე აგრძელებდა სასამართლო სხდომებს არასამუშაო საათებში. -- -- არსებითი განხილვის სხდომებს ნიშნავდა დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში. უმეტეს შემთხვევაში სხდომა არასდროს იწყებოდა დანიშნულ დროს. საპატიმრო საქმეს იწყებდა 18:00 საათზე, როცა ბრალდებული საპატიმროდან 13:00 საათზე იყო გამოყვანილი.

1.3. საჩივრის ავტორის მოსაზრებით -- -- ბრალდების სს საქმეზე მოსამართლემ დაარღვია საქმის განხილვის საპროცესო ვადა. ასევე დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსსკ) 278-ე მუხლით დადგენილი საპროცესო ვადები სს საქმეზე -- -- და სხვათა მიმართ. ამასთან მოსამართლემ მსჯავრდებულ -- --, რომელიც პროცესებზე სარგებლობდა თარჯიმნით, ქართულ ენაზე დაწერილი განაჩენი გაუგზავნა.

1.4. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლე -- -- იყო მიკერძოებული. იგი უკანონოდ ერეოდა მოწმის დაკითხვაში.

1.5. მოსამართლე ირონიითა და ხელის აქნევით გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას დაცვის მხარის მიმართ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. მოსამართლე -- -- სს საქმე -- -- და -- -- მიმართ არსებითად განსახილველად დაეწერა 2018 წლის 12 ოქტომბერს (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“,

„ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით). 2019 წლის 7 თებერვლის განაჩენით -- რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორის -- -- შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, დამტკიცდა სტაჟიორ-პროკურორ -- -- და ბრალდებულებს -- -- და -- -- შორის 2019 წლის 7 თებერვალს დადებული საპროცესო შეთანხმება.

2.2. აღნიშნული განაჩენი გასაჩივრდა მსჯავრდებულ -- -- ადვოკატის -- -- მიერ. -- სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 24 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულ -- -- ინტერესების დამცველის, ადვოკატ -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა. -- -- სასამართლოს 2019 წლის 07 თებერვლის განაჩენი -- -- მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ, დარჩა უცვლელი.

2.3. მოსამართლე -- -- სს საქმე -- -- და -- -- მიმართ არსებითად განსახილველად დაეწერა 2018 წლის 10 ივლისს (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით). სს საპროცესო კოდექსის 220-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წინასასამართლო სხდომის მოსამართლის 2018 წლის 3 ივლისის წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის სხდომის თარიღად განისაზღვრა 2018 წლის 12 ივლისი, 10:30 საათი. -- -- სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის 2019 წლის 20 ნოემბრის წერილით ირკვევა, რომ სს საქმეზე **ჩატარდა 33 არსებითი განხილვის სხდომა,** რომელზეც დაიკითხა ბრალდების მხარის **18 მოწმე.** 2020 წლის 8 იანვარს ბრალდებულების -- -- და -- -- მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

2.4. მოსამართლე -- -- სს საქმე -- -- და სხვათა მიმართ არსებითად განსახილველად დაეწერა 2019 წლის 28 მარტს (დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 223[1] პირველი ნაწილი და 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

ზემოაღნიშნულ სს საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 2019 წლის 23 ივლისს. 2019 წლის 25 ივლისს პენიტენციური დეპარტამენტის -- №-- დაწესებულების დირექტორს გაეგზავნა 2019 წლის 23 ივლისის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის ასლი მსჯავრდებულებზე გადასაცემად, ხოლო 2019 წლის 13 აგვისტოს მსჯავრდებულებზე გადასაცემად გაეგზავნა დასაბუთებული განაჩენის ასლი.

2.5. 2019 წლის 30 ივლისს -- -- სასამართლომ მიიღო -- -- სააპელაციო საჩივარი, დასაბუთების გარეშე. 2019 წლის 13 აგვისტოს -- -- გაეგზავნა 2019 წლის 23 ივლისის განაჩენის ასლი. 2019 წლის 20 აგვისტოს -- -- შეიტანა სააპელაციო საჩივარი.

2.6. 2019 წლის 30 ივლისსა და 5 აგვისტოს -- -- სასამართლომ მიიღო -- -- განცხადებები განაჩენის რუსულ ენაზე ჩაბარების მოთხოვნით. 2019 წლის 5 ნოემბერს რუსულ ენაზე ნათარგმნი განაჩენი გადაიგზავნა -- სააპელაციო სასამართლოში, საიდანაც იგი გაეგზავნა მსჯავრდებულ -- -- 2019 წლის 6 ნოემბერს.

2.7. 2019 წლის განმავლობაში, მოსამართლე -- -- განიხილა 364 სისხლის სამართლის საქმე, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოებაში აქვს 118 საქმე.

2.8. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება -- -- 2019 წლის 5 დეკემბრის №-- საჩივარზე, -- მიმართ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების კანონიერების შემოწმების ნაწილში.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 5 დეკემბრის №204 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო

სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[7] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის საფუძვლიანობის შემოწმებისას ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს.

4.1. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე სხდომებს ნიშნავდა არასამუშაო და სადღესასწაულო დღეებში და საპატიმრო საქმეს იწყებდა 18:00 საათზე, როცა ბრალდებული საპატიმროდან 13:00 საათზე იყო გამოყვანილი, სხდომა გრძელდებოდა 18 საათის შემდეგ, სხდომები იხსნებოდა დაგვიანებით.

სსსსკ 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო განხილვა მიმდინარეობს უწყვეტად, გარდა შესვენებისათვის საჭირო დროისა. სასამართლოში საქმის განხილვის გადადება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით შესაძლებელია მხოლოდ მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, მხარის, მოწმის ან თარჯიმნის გამოუცხადებლობის, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, აგრეთვე ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, 18 საათის შემდეგ შესაძლებელია სასამართლომ მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გადადოს საქმის განხილვა.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სასამართლო სხდომების გვიან ჩანიშვნა ხდებოდა მოსამართლის გადატვირთული გრაფიკის გამო, სხდომები ინიშნებოდა მხარეებთან შეთანხმებით და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო სხდომები მიმდინარეობდა მხარეთა და სასამართლოს საპროცესო თავისუფალი გრაფიკის დამთხვევით. სასამართლო სხდომების დაგვიანებით დაწყების შემთხვევაში მოსამართლე ყოველთვის არკვევდა და აცხადებდა დაგვიანების მიზეზს, რომელიც ხშირ შემთხვევაში იყო სხდომაზე მხარეთა დროული გამოუცხადებლობა და ასევე სხვა სისხლის სამართლის საქმის განხილვის გაგრძელება (მაგ.: 2019 წლის 27 მაისს ადვოკატ -- -- დაგვიანების გამო გვიან გაიხსნა სხდომა).

ვინაიდან იხილებოდა საპატიმრო საქმე, ბრალდებულებს კვირაში სამი დღე უწევდათ სასამართლოში ტრანსპორტირება, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით მოსამართლე მხარეებს სთავაზობდა სხდომების არასამუშაო დღეს ჩანიშვნას, რათა მთელი დღე გამოეყენებინათ მტკიცებულებათა გამოკვლევისათვის.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის პრეტენზიას მოსამართლის მიერ საპატიმრო საქმის 18:00 საათზე დაწყებაზე, როცა ბრალდებული საპატიმროდან 13:00 საათზე იყო გამოყვანილი, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ატყობინებს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თარიღსა და დროს და სთხოვს, რომ ესკორტირების სამსახურმა უზრუნველყოს აღნიშნულ დროს მსჯავრდებულის წარდგენა სასამართლოში.

ამდენად, მოსამართლის ქმედება მითითებულ სადავო შემთხვევაში საპროცესო ნორმების შესაბამისია.

4.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- -- დაარღვია -- -- ბრალდების სს საქმის განხილვის საპროცესო ვადები, ასევე მოსამართლემ სს საქმეზე -- -- და სხვათა მიმართ განაჩენი ვადის დარღვევით გადაუგზავნა მსჯავრდებულს. ამასთან მსჯავრდებულ -- --, რომელიც პროცესებზე სარგებლობდა თარჯიმნით, განაჩენი გადაეგზავნა ქართულ ენაზე.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის/საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო). მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

სსსსკ 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითად განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა. განსახილველ შემთხვევაში, -- -- საჩივარში მითითებული გარემოებების შესწავლისას დადგინდა, რომ სისხლის სამართლის საქმე -- -- და -- -- მიმართ მოსამართლე -- -- წარმოებაში გადაეცა 2018 წლის 10 ივლისს, ამდენად მოსამართლე ვალდებული იყო სისხლის სამართლის საქმე განეხილა 24 თვის ვადაში.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საჩივრის შემოტანის დროისათვის სისხლის სამართლის საქმე მოსამართლე -- -- წარმოებაში იმყოფებოდა 16 თვისა და 25 დღის განმავლობაში. ამასთან საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ ინტენსიურად ინიშნებოდა სხდომები. გადადებულ სასამართლო პროცესებს შორის პერიოდი გონივრულად ხანმოკლეა. ამასთან, პროცესის გადადებებისას, სასამართლოს უწევდა სხდომის თარიღების მხარეებთან შეთანხმება. 2020 წლის 8 იანვარს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულების მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. ამდენად, მოსამართლის ქმედება მითითებულ სადავო შემთხვევაში საპროცესო ნორმების შესაბამისია.

სსსსკ 277-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებულმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, განაჩენი გამოცხადებისთანავე ან სინქრონულად უნდა ეთარგმნოს ბრალდებულს მშობლიურ ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე. ხოლო ამავე კოდექსის 278-ე მუხლის თანახმად, განაჩენისა და განსხვავებული აზრის ასლი მსჯავრდებულს ან გამართლებულს და ბრალმდებელს უნდა გადაეცეს განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, ხოლო რთულ,

მრავალტომიან ან მრავალი პირის ბრალდების საქმეზე – არა უგვიანეს 14 დღისა. პროცესის სხვა მონაწილეს განაჩენის ასლი მისი მოთხოვნით იმავე ვადაში გადაეცემა.

სსსსკ 293-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

დისციპლინური საჩივრის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ -- -- და სხვათა მიმართ -- -- სასამართლოს მიერ განხილული სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება რთული და მრავალტომიანი კატეგორიის საქმეს და მსჯავრდებულის მიმართ დამდგარი 2019 წლის 23 ივლისის განაჩენი შედგება 49 (ორმოცდაცხრა) გვერდისგან. შესაბამისად, სსსსკ 278-ე მუხლიდან გამომდინარე, მოსამართლე უფლებამოსილი იყო მსჯავრდებულისთვის განაჩენი ჩაებარებინა 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში.

სს საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 2019 წლის 23 ივლისს. 2019 წლის 25 ივლისს პენიტენციური დეპარტამენტის -- №-- დაწესებულების დირექტორს გაეგზავნა 2019 წლის 23 ივლისის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის ასლი მსჯავრდებულებზე გადასაცემად.

2019 წლის 13 აგვისტოს პენიტენციური დეპარტამენტის -- №-- დაწესებულების დირექტორს გაეგზავნა 2019 წლის 23 ივლისის დასაბუთებული განაჩენის ასლი მსჯავრდებულებზე გადასაცემად.

-- -- სასამართლოს 2019 წლის 23 ივლისის დასაბუთებული განაჩენის ასლი 2019 წლის 13 აგვისტოს ასევე გაეგზავნა მსჯავრდებულ -- -- ადვოკატ -- --.

ამდენად, ზემოთხსენებული საპროცესო კანონმდებლობის და საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე დასტურდება, რომ სასამართლომ 7 (შვიდი) დღის დაგვიანებით გადაუგზავნა განაჩენის ასლი პენიტენციური დეპარტამენტის №-- დაწესებულებას, რომელსაც დაევალა მსჯავრდებულისთვის განაჩენის ასლის დროულად ჩაბარება. კერძოდ, ნაცვლად არაუგვიანეს 6 აგვისტოსი, განაჩენის ასლი №-- დაწესებულებას გადაეგზავნა 13 აგვისტოს.

ამასთან, საყურადღებოა ის გარემოება, რომ 14 დღიანი ვადა შეეხება სასამართლოს მიერ განაჩენის სახელმწიფო ენაზე მომზადებას და არა ამავე ვადაში განაჩენის სხვა ენაზე თარგმნის ვალდებულებას.

რაც შეეხება, რუსულ ენაზე ნათარგმნი განაჩენის მსჯავრდებულისთვის დაგვიანებით გადაცემის ფაქტს. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ სწორად შეფასდეს სასამართლოს მხრიდან განხორციელებული ქმედებების თანმიმდევრულობა და სასამართლოს უფლება-მოვალეობები. კერძოდ, საქმის მასალებიდან გამოირკვა, რომ მას შემდეგ რაც მსჯავრდებულს გადაეგზავნა ქართულ ენაზე შედგენილი განაჩენის ასლი, 2019 წლის 15 აგვისტოს სასამართლოს სხდომის მდივანმა წერილობით მიმართა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარეს და ითხოვა -- -- და სხვათა მიმართ არსებული განაჩენის რუსულ ენაზე თარგმნა. რუსულ ენაზე ნათარგმნი განაჩენი -- -- სასამართლოში დაბრუნდა 2019 წლის 2 ნოემბერს, რომელიც 2019 წლის 5 ნოემბერს გადაიგზავნა -- სააპელაციო სასამართლოში, საიდანაც იგი გაეგზავნა მსჯავრდებულ -- -- 2019 წლის 6 ნოემბერს. ამდენად, განაჩენის დროულ თარგმნაზე პასუხისმგებელ და უფლებამოსილ პირს სასამართლო არ წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ დარღვეულია განაჩენის ასლის მსჯავრდებულისათვის გადაცემის ვადა, საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ დაცვის მხარემ დროულად შეძლო სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენის გასაჩივრება. კერძოდ, 2019 წლის 30 ივლისს -- -- სასამართლოში მიღებულ იქნა -- -- სააპელაციო საჩივარი, დასაბუთების გარეშე, ხოლო 2019 წლის 20 აგვისტოს -- -- შეიტანა სააპელაციო საჩივარი. ამდენად როგორც განაჩენის ჩაბარების ვადის დარღვევას, ასევე მსჯავრდებულისათვის მისთვის გასაგებ ენაზე ნათარგმნი განაჩენის გვიან ჩაბარებას არ მიუყენებია მხარისათვის არსებითი ხასიათის ზიანი, მხარეს არ წართმევია განაჩენის გასაჩივრების

ფუნდამენტური უფლება.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

4.3 საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლე უკანონოდ ერეოდა მოწმის დაკითხვაში და იყო მიკერძოებული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება ქმედება, რომელიც არღვევს დამოუკიდებლობის პრინციპს, კერძოდ: „ა.ა“ მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ყველა შემთხვევაში, მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი ქცევა შეესაბამებოდეს დაკავებული თანამდებობის ღირსებას, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ნდობის ამაღლებას სამოსამართლო ინსტიტუციების მიმართ. მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ჯეროვნად და დაიცვან მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თავიდან აიცილონ რაიმე სახის მიკერძოება და დისკრიმინაცია, და შეინარჩუნონ ბალანსი მხარეებს შორის და უზრუნველყონ საქმის სამართლიანი განხილვა თითოეული მხარისათვის.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. აღნიშნულ ნორმას დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. ის ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს რომ, „სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტური ასპექტია სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობა და ბრალდებისა და დაცვის მხარეთა თანასწორობა“ (Dowset v UK). საერთაშორისო სამართალი აღიარებს მხარეთა თანასწორობის პრინციპს ითხოვს რა, რომ საქმის ყველა მხარეს ჰქონდეს ერთნაირი პროცედურული უფლებები. ეს პრინციპი გადაჯაჭვულია სისხლის სამართლის პროცესის საყოველთაო შეჯიბრებითობის ხასიათთან, რასაც აგრეთვე განსაზღვრავს სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნა.

სსსსკ 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული ნორმის მიზანს მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა და მათთვის თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად თანაბარი შესაძლებლობების შექმნა წარმოადგენს. მხარეთა

შეჯიბრობითობის უზრუნველყოფა ევალება სასამართლოს, რომელიც ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები, ისე რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. სასამართლო მხარეთა შეჯიბრობითობის პროცესში წარმოადგენს არბიტრს, რომელიც მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევასა და შეფასების შედეგად იღებს გადაწყვეტილებას. მოსამართლე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად, უფლებამოსილია დასვას დამაზუსტებელი შეკითხვა. ასეთ შემთხვევაში მან მხარეებს უნდა განუმარტოს დამაზუსტებელი კითხვის აუცილებლობა, რათა ეს აღქმული არ იქნეს მხარეთა შეჯიბრობითობაში ჩარევად.

-- -- სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეების განხილვის სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პროცესზე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა ეძლეოდათ საკუთარი ინტერესების დასაცავად.

2019 წლის 20 მაისის სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერის შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ფაქტი: მოწმე -- -- დაკითხვის დროს პროკურორის კითხვაზე მოწმე პასუხობს: - უბედური ხალხია ჩარეული და მოერიდე მამაშვილურად ჩხუბი არ მოხდეს რამეო;
პროკურორი: - უბედურ ხალხში რა იგულისხმება?
მოწმე: - მე ისეთი არაფერი მიგულისხმია, ერთმანეთშიც ასეთი საუბარი გვაქვს;
მოსამართლე: - ამიტომ გეკითხებათ საუბარი ასეთი რომ გაქვთ, რა იგულისხმება გაუგებარია.

აღნიშნულთან დაკავშირებით ადვოკატმა -- -- პროტესტი განაცხადა და აღნიშნა რომ მოსამართლემ დამაზუსტებელი კითხვა მხარეებთან შეთანხმებით უნდა დასვას, რაზეც მოსამართლემ განმარტა, რომ ეს არ იყო კითხვის დაზუსტება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ აღნიშნული ქმედება არ შეფასდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის დარღვევად, ვინაიდან მოსამართლის მიერ არ დარღვეულა კანონის იმპერატიული მოთხოვნა, ამ ქმედებას არ დაურღვევია მხარეთა შეჯიბრებითობა, არ შეუქმნია საფრთხე მხარეების მიერ მტკიცებულებათა წარდგენის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის და მტკიცებულებათა თანაბარ პირობებში გამოკვლევისათვის.

4.4 რაც შეეხება საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ ფაქტს, რომ მოსამართლე ირონიითა და ხელის აქნევით გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას დაცვის მხარის მიმართ. აღნიშნული ფაქტის შესწავლის მიზნით დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარისგან გამოთხოვილ იქნა 2019 წლის 10 ივნისის სასამართლო სხდომის ვიდეო ჩანაწერი.

2019 წლის 10 ივნისის სასამართლო სხდომის ვიდეო ჩანაწერის შესწავლის შედეგად ვერ დადგინდა -- -- საჩივარში მითითებული ფაქტი, ვინაიდან სხდომის დარბაზში ვიდეო გადაღება ხორციელდებოდა ისეთი რაკურსით, საიდანაც შეუძლებელი იყო მოსამართლის გამომეტყველებისა და ჟესტიკულაციის დანახვა.

ამდენად, -- -- საჩივართან დაკავშირებით შესწავლილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად, არ იკვეთება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას

მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №204/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი